ოსტატი დავით ადიკაშვილი ლურჯი სათვალით ჩასცქერის ღუმელის საჭვრეტს. იქვეა უფროსი მექურე შირონ კიკვაძე, მას საზე ოფლით აქვს დაცვარული, მაგრამ ვერც დაღლას გრძნობს და ვერც ღუმელის სიმხურვალეს. უფროსს მეაორე ირაკლი ბრეგაძე ყურადღებით ადევნებს თვალს საკონტროლო-საზომ ხელსაწყოებს. თუჯი „მოხარშულია“.

დაიწყეს გაშვება. სადენი ხვრელიდან გავარვარებულმა ლითონმა იფეთქა. გამდნარი თუჯის ღვართაფი ზათქით გადაეშვა ვეება ციცხვში.

60 ტონა მაღალხარისხოვანი თუჯი გეგმის გადამეტებით — ასეთია არჩილ ძამაშვილის ბრიგადის გუშინდელი წარმატება.

რ. მორჩილაძე.

შოთა კუბლაშვილის ბრიგადაში

ლენინის სახელობის შახტა, მესამე ჭაბანი... ყველას სახე უბრწყინავს, ფართოვდება ღიმილი ბრიგადირის შ. კუბლაშვილის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების ამბავი.

— დღევანდელი დღე სამუდამოდ დაამახსოვრებენ ჩვენი უბნის მუშახტებს, — განაცხადა უბნის უფროსმა გაგანოველმა ა. ბელელაძემ. — ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი უბნის წარჩინებული მეშახტის შ. კუბლაშვილის შრომას მაღალი შეფასება მისცეს პარტიამ და მთავრობამ. ამაში ჩვენი კოლექტივის შრომის დაფასებასაც ვხედავთ.

ტყიბულქვანახშირის ტრესტის შახტებში ამ სასიხარულო ცნობის გავრცელებამ უდიდესი შრომითი აღძაველობა გამოიწვია. გუშინ აქაურმა მეშახტეებმა ძაღალნაყოფიერად იმუშავეს.

ლენინის სახელობის შახტის დისპეტჩერის ყურადღება მიპყრობილი იყო მე-4 ფენის მე-2 შრის სანგრევებისაკენ. იქ ქვანახშირს იღებდნენ შ. კუბლაშვილის ბრიგადის წევრები. ბეჯითად მუშაობდა ბრიგადირის მარჯვენა ხელი დურმიშხან ცქვიტორელიძე. იქვე ქვანახშირის მოსანგრევი ჩაქუჩი მარჯვედ ჩაებღუჯა ბუდუ მელანიშვილს. აძ ორმა მეშახტემ ერთ საათში დაბურღა და ააფეთქა სანგრევი. ქვანახშირის მომხვეტი ტრანსპორტიორები ძლივს აუდიოდნენ ლავიდან ქვანახშირის ამოტვირთვას. ვიწრო განაკვეთების გაჭრანის ოსტატმა მიხეილ ლოსაბერიძემ ოთხ გრძივ მეტრზე გაიყვანა სამოო ნაშუშევარი და დღიური ნორმა ორმაგად შეასრულა.

დღის ბოლოს ბრიგადამ შეჯამა მუშაობის შედეგი. გამოირკვა, რომ მათ 77 ტონა ქვანახშირი ამოუღიათ ნაცვლად გათვალისწინებული 46 ტონისა. ბრიგადის თვითეულმა წევრმა ცვლაში გეგმის გადამეტებით 4, 9 ტონა ქვანახშირი ამოიღო.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ჩვენ არ ვეპოტინებით სხვის ცას

შესვენების დროს 26 კომისრის სახელობის თბილისის მანქანათმშენებელი ქარხნის ყველა საამქროში აგიტატორები წარმოეთის ძუშებს უკითხავენ სკკპ ცენტრალურო კომიტეტი პირველი ძდივხია, სსრ კავშირის ძიხისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ კრემლში სრულიად საკავძირო თათბირზე წარმოთქმული სიტყვის ტექსტს. მშრომელები იქვე უზიარებენ ერთმანეთს აზრს.

— ვისმენ ნიკიტა სერგის-ძის სიტყვებს და გული სიხარულით მევსება ჩვენი საყვარელი სამშობლოსათვის, ჩვენი ხალხისათვის, — ამბობს მექანიკური სარემონტო საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის აელმღვანელი გ. კორკოტაძე. ჩვენ უსაზღვროდ ერთგული ვართ ჩვენი პარტიისა და მთავრობის. საბჭოთა ხალხი არასოდეს და არავის არ მისცემს ნებას თავს მოახვიოს სხვისი ნება-სურვილი. საბჭოთა კავშირი დიდი ქვეყანაა და ჩვენ უნდა გვეღაპარაკოს როგორც თანასწორს.

—მთელმა მსოფლიომ იცის სიმართლე, რომელიც თქვა კრემლში,—თქვა № 1 მექანიკურ-საამქროს საამქროს ხარატმა მ. აკოპოვმა. ჩვენ ვეუბნებით კაპიტალისტურ ქვეყნებს: მოდით მშვიდობიანად შევეჯიბროთ ერთმანეთს. ჩვენ ზურგს გვქონდეს ამ ადამიანებთან. სამუშაოროდ, ძალა მათს მხარეზეა. თუმცა ისინი უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენენ“.

კიდევ ერთი წერილი. იგი დაიწერია მშვიდობის დასაცავად „მედისონ სკვერ გარდენში“ გამართული გრანდიოზული მიტინგის მონაწილეს: „მიტინგზე გამოსულმა მსახიობმა მაკ ნიკოლსმა თქვა: „მე კი ბოდიშს მოვიხდიდი საბჭოთა ადამიანების წინაშე“. მიტინგის შემდეგ იქ დამსწრე ადამიანთა დიდი ჯგუფი გასასეირნოდ შევიკრიბეთ, და გადავწყვიტეთ, რომ ბოდიში უნდა მოვიხადოთ ჩვენი მთავრობის მოქმედებისათვის. ჩვენ სულ ცოტა 200 კაცი ვიყავით. მათი სახელით გწერთ ამ წერილს“.

ბ. სტრელნიკოვი.

პროვოკატორებთან აჩა გვსურს საერთო

ნიუ-იორკი, 29 მაისი. („პრავდის“ საკ. კორ.). აქაური ყველაზე რეაქციულ გაზეთებსაც კი არ ძალუძთ მიჩქმალონ საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ნამდვილი მშვიდობისმოყვარეობა, რომელიც ახალი ძალით დადასტურებულია ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვაში კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების შეჯიბრების მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირზე.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აქვეყნებს ვრცელ ნაწყვეტებს, ამ სიტყვიდან და თავის ყოველკვირეულ მიმოხილვაში ხაზგასმით აღნიშნავს: „ბ-ნი ხრუშჩოვი, როგორც ჩანს, კვლავ ადგას თავის კურსს, რომელიც საბჭოთა ადამიანებს ჰპირდება მეტ სამომხმარებლო საქონელს... და ღონისძიებებს მშვიდობის დასაცავად დასავლეთთან დიპლომატიური მოლაპარაკების საშუალებით“.

ასოშიეიტედ პრესის ამომხილველი ჰაიტაური აღნიშნავს საბჭოთა კავშირის მისწრაფებას „ღიად დატოვოს გზა უმაღლეს დონეზე მოლაპარაკებისაკენ მომავალში“, აგრეთვე ამერიკა-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებისაკენ. „თუმცა არც თვითონ სახლი, არც სახელმწიფო დეპარტამენტი არ გამოსულან ოფიციალური კომენტარებით ხრუშჩოვის სიტყვის გამო, — განაგრძობს ჰაიტაური, — მაგრამ ოფიციალურმა პირებმა კონფიდენციალურ საუბრებში ინტერესი გამოიჩინეს მისი იმ განცხადებისადმი, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის განაგრძოს მოლაპარაკება განიარაღების შესახებ“.

ამ დღეებში ყველა ღიად მოაზროვნე ამერიკელი გადაჭრით გმობს ვაშინგტონის პოლიტიკის ავანტიურისტულ კურსს, რომელიც ყველა ხალხის ძირეულ ინტერესებს ეწინააღმდეგება. სსრ კავშირის საელჩო ვაშინგტონში, აგრეთვე საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან დიდი რაოდენობით იღებს ამერიკელი მოქალაქეების წერილებს, რომლებშიც გამოთქმულია აღშფოთება ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების პროვოკაციული მოქმედების გამო. ზოგიერთი წერილი მომართულია საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვისადმი.

ამერიკელ ჩარლზ ჩეის ოჯახი წერს: „ჩვენი ოჯახის სახელით, ჩვენი მეზობლების სახელით გწერთ თქვენ, რათა იცოდეთ, თუ რას ფიქრობენ ამერიკელები უკანასკნელი ამბების შესახებ, რომლებიც პარიზში, ამერიკაში და რუსეთში მოხდა. ჩვენ გვინდა დაგიდასტუროთ ჩვენი პატივისცემა თქვენდამი და ავგრეთვე გვინდა ბოდიში მოვიხადოთ ჩვენი მთავრობის უხეში პოლიტიკისათვის. თუ პრეზიდენტს გამბედაობა არ ეყო ბოდიში მოეხადა საბჭოთა ხალხის წინაშე, ამას ჩვენ ვაკეთებთ მის მაგივრად, თუმცა, როგორც თქვენ იცით, ამერიკელ ხალხს (ჩვენ ხაზს ვუსვამთ — ამერიკელ ხალხს) საბჭოთა ხალხის მიმართ არაფერი ისეთი არ გაუკეთებია, რომ ბოდიში ჰქონდეს მოსახდელი. იმედი გვაქვს, რომ საბჭოთა ადამიანებს ეს კარგად ესმით. გვრცხვენია, რომ იძულებული ვხდებით ბოდიში მოვიხადოთ მთავრობის მაგიერ“.

მეორე წერილს აქვს ასეთი ხელმოწერა: „საერთაშორისო ძმობის საზოგადოების წევრები“. წერილში ნათქვამია: „დაე რუსეთის ხალხები მიხვდნენ, რომ შეერთებული შტატების საშუალო მოქალაქეს საერთო არა აქვს რა იმათთან, ვინც თვითმფრინავებს გზავნის საბჭოთა ტერიტორიის სიღრმეში, ვინც ძირს უთხრის უმაღლესი დონის თათბირს, ვინც აწყობს პროვოკაციულ სამხედრო განგაშს, ვინც მუშაობს მშვიდობის წინააღმდეგ. ჩვენ, შეერთებული შტატების რიგითს მოქალაქეებს, არ გვინდა რაიმე საერთო გვქონდეს ამ ადამიანებთან. სამუშაოროდ, ძალა მათს მხარეზეა. თუმცა ისინი უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენენ“.

კიდევ ერთი წერილი. იგი დაიწერია მშვიდობის დასაცავად „მედისონ სკვერ გარდენში“ გამართული გრანდიოზული მიტინგის მონაწილეს: „მიტინგზე გამოსულმა მსახიობმა მაკ ნიკოლსმა თქვა: „მე კი ბოდიშს მოვიხდიდი საბჭოთა ადამიანების წინაშე“. მიტინგის შემდეგ იქ დამსწრე ადამიანთა დიდი ჯგუფი გასასეირნოდ შევიკრიბეთ, და გადავწყვიტეთ, რომ ბოდიში უნდა მოვიხადოთ ჩვენი მთავრობის მოქმედებისათვის. ჩვენ სულ ცოტა 200 კაცი ვიყავით. მათი სახელით გწერთ ამ წერილს“.

ბ. სტრელნიკოვი.

ისინი რომ ჩამოვთვალოთ, ვისაც თვითონ პრეზიდენტი ეიზენჰაუერი ამერიკის შეერთებული შტატების მეგობრებად აცხადებს, გამოდის ფრიად საინტერესო კომპანია.

(ამბანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლიდან).

დაუჯერებელი არგუმენტები

სტოკჰოლმი, 29 მაისი. (საკდესი). კომენტარს უკეთებს რა ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების შეჯიბრების მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირზე, კონსერვატიული გაზეთი „სვენსკა დაგბლადეტი“ აღნიშნავს იმ საბუთების საფუძვლიანობას, რომლებიც საბჭოთა კავშირს მოჰყავს ამერიკის თვითმფრინავების ჯაშუშური ფრენის საკითხში, ეიზენჰაუერსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ის სტანჯავს, აცხადებს გაზეთი, რომ ხრუშჩოვს აქვს მთელი რიგი უცილობელი მიზეზები, რათა კრიტიკით გამოდიოდეს. ეს მდგომარეობა ვერ შეცვალა ვერც ეიზენჰაუერის სიტყვამ, რომლითაც მან ამერიკელ ხალხს მიმართა, და ვერც უშიშროების საბჭოში ამერიკის წარმომადგენლის გამოსვლამ.

„სვენსკა დაგბლადეტი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დამაჯერებელი არ არის ამერიკის იმ წრეების მოსაზრებანი, რომლებიც ცდილობენ პასუხისმგებლობა უმაღლესი დონის თათბირის ჩაშლისათვის საბჭოთა კავშირს დააკისრონ.

ლაპარაკობს რა დასასრულ საბჭოთა კავშირის იმ განზრახვაზე, რომ საკითხი ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განსახილველად დააყენოს, „სვენსკა დაგბლადეტი“ აღნიშნავს: „ბევრი ნიშანი მოწმობს იმას, რომ საბჭოთა კავშირს აქვს დიდი შესაძლებლობანი, რომ საერთო ყურადღება მიაპყროს თავის ძლიერ პოზიციას“.

Молодой СТАЛИНЕЦ

„მოლოდი სტალინეცი“ 40 წლისაა

დღეს პროლეტარული ახალგაზრდობის აგიტლობრივი ორგანიზაციების ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი ფაქტი მოხდა. გამოდის კომუნისტური ახალგაზრდობის პირველი გაზეთის — „მოლოდოი პროლეტარის“ პირველი ნომერი...“

1920 წლის 31 მაისს დაიბეჭდა ეს სტრიქონები. სწორედ იმ დროიდან ითვლის თავის წლებს რესპუბლიკური ახალგაზრდობის გაზეთი „მოლოდოი სტალინეცი“, რომელიც დღეს თავის 40 წლის თავს აღნიშნავს.

...დროთა ვითარებისაგან გაყვითლებული თხელი ფურცლები. ისინი მოგვითხრობენ ქართველი ახალგაზრდობის შესანიშნავ საქმეებზე, მის თავდადებულ შრომაზე სახალხო მეურნეობის აღდგენის სამახსოვრო წლებში მენშევიკური ნაძირალების განდევნის შემდეგ, კომკავშირელთა მონაწილეობაზე ინდუსტრიალიზაციასა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაში.

გაზეთი თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე ფეხდაფეხ მიყვება დროს, ცოცხლად ეხმაურება ყველა უმნიშვნელოვანეს მოვლენას კომკავშირის ცხოვრებაში.

ახსოვს რა დიდი ილიჩის სიტყვები, რომ „გაზეთი არის არა მარტო კოლექტიური პროპაგანდისტი და კოლექტიური აგიტატორი, არამედ კოლექტიური ორგანიზატორიც“, „მოლოდოი სტალინეცი“ არაერთხელ გამოსულა ბევრი კარგი წამოწყების ინიციატორად.

„მოლოდოი სტალინეცის“ ინიციატივით რესპუბლიკაში ფართოდ გავრცელდა მომხმარებელთა და მომწოდებელთა საწარმოების კომკავშირულ ორგანიზაციებს შორის ურთიერთკონტროლის სისტემა. სოფლის, მოსწავლე და მუშა ახალგაზრდობამ დაიწყო ბრძოლა ეკონომიისა და მომჭირნეობისათვის. შეიქმნა რესპუბლიკაში კულტურის პირველი უნივერსიტეტი ქალაქ თბილისის კალინინის სახელობის და 26 კომისრის სახელობის რაიონებში.

გამოდის რა ყოველივე ახლის, მოწინავის პროპაგანდისტად, იბრძვის რა ახალგაზრდობის აღმზრდელის, მეგობრისა და მრჩევლის თავისი როლის გაძლიერებისათვის, გაზეთი „მოლოდოი სტალინეცი“ არის რესპუბლიკური კომკავშირული ორგანიზაციის მებრძოლი თანაშემწე. (საკდესი).

სოციალისტურ ქვეყნებთან მეგობრობის პოლიტიკისათვის

საირუს იტონის პრეს-კონფერენცია

ბუდაპეშტი, 29 მაისი. (საკდესი). დღეს ამერიკის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე და მრეწველი, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატ საირუს იტონი ბუდაპეშტში შეხვდა უნგრელ და უცხოელ ჟურნალისტებს და უპასუხა მათთვის საინტერესო კითხვებზე.

მე, თქვა საირუს იტონმა, ძალიან მაინტერესებს ევროპის სოციალისტური ქვეყნები და ვფიქრობ, რომ ყველაზე მიზანშეწონილია პირადად გავეცნო ამ ქვეყნების ცხოვრებას. საირუს იტონმა ილაპარაკა თავის შეხვედრებზე ბუდაპეშტში ოფიციალურ პირებთან და აღნიშნა, რომ ამ შეხვედრებმა კარგი შთაბეჭდილება დაუტოვეს მას.

უპასუხა რა კითხვაზე, თუ როგორ ცხოვრობენ უნგრელები ამერიკის შეერთებულ შტატებში და კერძოდ კლივლენდში, სადაც საირუს იტონი ცხოვრობს, მან თქვა: ჩვენს დიდმნიშვნელოვან მოვალეობად მიმაჩნია შევხვდე მათ, ამერიკის შეერთებულ შტატებში რომ დავბრუნდებიო.

მინდა ვუთხრა მათ, რომ მშვენიერი ქვეყანაა მათი სამშობლო და მივესალმო მათი ყურადღება იმას, რომ არ აძყვნენ იმ პროპაგანდის გავლენას, რომელიც ამბობს სინამდვილეს. მათ სამშობლოში ბევრი რამ არის ისეთი, რითაც მათ შეუძლიათ იამაყონ. ვიტყვი მათ, რომ თუ სურთ იცოდნენ სიმართლე უნგრეთის შესახებ, ჩამოვიდნენ აქ და თვითონ ნახონ.

უპასუხა რა შემდეგ კითხვებზე, რომლებიც ეხება უნგრეთ-ამერიკის ურთიერთობას, საირუს იტონმა თქვა: მე ვფიქრობ, რომ ბევრია ისეთი დარგი, რომლებშიც შეიძლება დამყარდეს სასარგებლო, ურთიერთხელსაყრელი საქმიანი ურთიერთობა უნგრეთს, აღმოსავლეთ ევროპის ყველა სახალხო დემოკრატიის ქვეყანასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის.

შემდეგ საირუს იტონს მისცეს კითხვა, რომელიც ეხება შეერთებული შტატების მთავრობის პოლიტიკას. დარწმუნებული ვარ, უპასუხა საირუს იტონმა, რომ ამერიკის ჯაშუშური თვითმფრინავის ინციდენტი და უმაღლესი დონის თათბირის ჩაშლა პარიზში დიდ გავლენას მოახდენენ ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრივ აზრსა და მთავრობის პოლიტიკაზე. თუმცა ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებში უკიდურესი დიდი ღონისძიებანი ხორციელდება, რათა უმაღლესი დონის თათბირის ჩაშლისათვის პასუხისმგებლობა ხრუშჩოვს დააკისრონ, მაგრამ საზოგადოებრივი აზრი ადრე თუ გვიან შეიგნებს, თუ ვის მიუძღვის ნამდვილი ბრალი უმაღლესი დონის თათბირის ჩაშლაში. ჯაშუშური თვითმფრინავის ინციდენტი და უმაღლესი დონის თათბირის ჩაშლა, განაგრძო საირუს იტონმა, ძალიან დიდ გავლენას მოახდენს პრეზიდენტის არჩევნების შედეგზე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამერიკელ ხალხს სურს იცხოვროს მშვიდობითა და მეგობრობით ყველა ხალხთან, მათ შორის უნგრელ ხალხთან.

შეერთებული შტატები, თქვა საირუს იტონმა, წელიწადში 50 მილიარდ დოლარს ხარჯავენ შეირაღებაზე, მე არ მიმაჩნია ეს ბრძნულ საქმედ. დარწმუნებული ვარ, რომ დიდ სარგებლობას არ მოიტანს ის 50 მილიარდი დოლარი, რომელიც იმას ხმარდება, რომ აიფეთქონ, გააცამტვერონ თავიანთი თავი. ჩვენი ამოცანაა დავარწმუნოთ ამაში ფინანსისები და შეშლილები, რომელთაც სურთ სიკვდილის მორევში გადაგვჩეხონ.

დაუბარუნდა რა შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მოვალეს არჩევნების საკითხს, საირუს იტონმა გამოთქვა აზრი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა არჩევნების შემდეგ ძირეულად შეიცვლება.

მან შემდეგ მხარი დაუჭირა აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებთან მეგობრობის პოლიტიკას და თქვა: შეერთებული შტატები საზოგადოებრივ წყობილებას აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში ვერც პროპაგანდით შეცვლიან, ვერც ძალით. დრო დაგვანახებს, თუ რომელი წყობილება სჯობს, ხოლო მანამდე ორივე მხარემ პატივი უნდა სცეს არსებულ პოლიტიკურ სისტემებს. ბოლო უნდა მოეღოს ისეთ პროპაგანდას, როგორსაც ეწევიან, მაგალითად, რადიოსადგურები „თავისუფალი ევროპა“ და „ამერიკის ხმა“. უნდა შეწყდეს პროპაგანდა, რომელსაც სურს სხვა ხალხებს მოახვიოს ის, რაც მათ არა სურთ.

უპასუხა რა „პრავდის“ ბუდაპეშტელი კორესპონდენტის კითხვაზე, რაც ეხება ნ. ს. ხრუშჩოვის გუშინდელ გამოსვლას კრემლში, რომელშიც ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა კავშირის მისწრაფება ყოველი ღონე იხმაროს, რათა შეიქმნას უმაღლესი დონის თათბირის მოწვევისათვის ხელსაყრელი პირობები, საირუს იტონმა თქვა: მე ერთ-ერთი მათგანი ვარ, ვინც დარწმუნებულია, რომ ბატონ ხრუშჩოვს გულწრფელად სურს მშვიდობა. სავსებით ნათელია, რომ მომხდარ ამბებში, უმაღლესი დონის თათბირის ჩაშლაში ყველაზე ტრაგიკულია ის გარემოება, რომ ბატონ ხრუშჩოვს არ შეეძლო ეიზენჰაუერის ნდობა ჰქონოდა.

რეიტერის საagენტოს ბუდაპეშტელმა კორესპონდენტმა ჰკითხა საირუს იტონს, როგორ აფასებს სენატორ დოდის წინადადებას იმის შესახებ, რომ ჩამოართვან საირუს იტონს პასპორტი, იმოწმებს რა XVIII საუკუნის კანონს, რომლითაც ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებს აკრძალული აქვთ გააკრიტიკონ ამერიკის მთავრობის პოლიტიკა.

ამა ერთი სკანდალის განახორციელოს ეს წინადადება ჩემზე, შენიშნა საირუს იტონმა, ხოლო შემდეგ განაგრძო: დოდის თვალსაზრისს მხოლოდ 1-2 სენატორი იზიარებს. ეს კანონი რომ პრაქტიკულად ხორციელდებოდეს, ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველი შენობა საპყრობილედ უნდა გადაიქცეოდეს, რაშგან ძალიან ბევრი ადამიანი აკრიტიკებს ამერიკის მთავრობის პოლიტიკას.

უბრალო ამერიკელთა აღშფოთება

ნიუ-იორკი, 29 მაისი. (საკდესი). ნიუ-იორკის ყველა გაზეთი პირველ გვერდზე ბეჭდავს თავის კორესპონდენტთა დაწვრილებითს ანგარიშებს, აგრეთვე დეპეშათა საagენტოების ცნობებს ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლის შესახებ კომუნისტური შრომის მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირზე. გაზეთი „ნიუ-იორკ ჯორნელ ამერიკენი“ გამოვიდა ვებერთელა სათაურით „ხრუშჩოვს სურს, რომ აზიის ქვეყნები მონაწილეობდნენ უმაღლესი დონის შემდეგ თათბირში“. ყველა გაზეთი თავის დღევანდელ დილის გამოცემაში დაწვრილებით აშუქებს ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას. ცნობებს სიტყვის შესახებ დათმობილი აქვს უაღრესად თვალსაჩინო ადგილი. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ბეჭდავს ვრცელ ამონაწერებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გამოსვლიდან“. საბჭოთა ხელმძღვანელი გაფრთხილებას იძლევა „ზნელი აჩრდილების“ წინააღმდეგ, რომლებიც დგანან ამერიკის შეერთებული შტატების ლიდერის ზურგში“, ნათქვამია „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მოსკოველი კორესპონდენტის ცნობის სათაურში. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ „დასავლეთის მეთვალყურეებს ხრუშჩოვის გამოსვლა შედარებით რბილად მიაჩნიათ, თუმცა მისი სიტყვები ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ მაგარი იყო“.

ახალი ამბების მიმოხილვაში, რომელსაც ყოველ კვირაში აქვეყნებს „ნიუ-იორკ ტაიმსი“, ხაზგასმულია, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლამ ცხადყო, რომ იგი არ აპირებს შეცვალოს საგარეო პოლიტიკა უმნიშვნელოვანეს საკითხებში“.

ასოშიეიტედ პრესის საagენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ როგორც

სკოლებში გამოცდები დაიწყო



ხურათზე: თბილისის მე-4 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეები გამოცდაზე ქართულ წერაში.

ფოტო ბ. დადვაძისა და გ. გოგობიანი.

გუშინ რესპუბლიკის სკოლებში დაიწყო გამოსაშვები და სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდები. ეს იყო სკოლების გარდაქმნისა და სახალხო განათლების სისტემის განვითარების შესახებ ცნობილი კანონის განხორციელებისათვის ბრძოლის პირველი წლის — 1959-1960 სასწავლო წლის შედეგების შეჯამების დასაწყისი.

ამიტომაც ასეთი საზეიმო-სასიხარულო და ამასთანავე ამაღელვებელი იყო 30 მაისის დილა სკოლების პედაგოგ-მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის.

იწყება სასწავლო წლის შედეგების შეჯამება.

გოგონა ვარდების კონას მალ-მალ ყნოსავდა და თან აჩქარებული ნაბიჯით სკოლისაკენ მიდიოდა. ეტყობოდა ღელავდა. დღეს ხომ იგი პირველ წერით გამოცდას აბარებს მშობლიურ ენაში.

— ნაზი „ხუთიანს“ გისურვებთ, — „ხუთიანს“, — შესძახეს გოგონას სკოლის შენობის წინ შეკრებულმა ბავშვებმა. ესენი მე-12 საშუალო სკოლის მერვეკლასელები იყვნენ. მათ დღეს დაეწყოთ სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა და დიღმის საბჭოთა მეურნეობაში წასასვლელად ემზადებოდნენ.

ნაზი ნანიტაშვილმა სწრაფად აირბინა კიბე და საკლასო ოთახს მიაშურა. აქ უკვე თავი მოეყარათ მის ამხანაგებს. თუმცა მათ სასწავლო პროგრამა კარგად ჰქონდათ შესწავლილი, მაგრამ მაინც ღელავდნენ, მოუთმენლად ითვლიდნენ წუთებს.

9 საათიც შესრულდა. მასწავლებელმა დაფაზე საგამოცდო თემები ჩამოწერა — „სოციალისტური სოფელი ლეო ქიაჩელისა და კონსტანტინე ლორთქიფანიძის პროზაში“, „სამშობლოს სიყვარულის იდეა ვაჟა-ფშაველას მხატვრულ შემოქმედებაში“, „გმირობა და მეგობრობა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“.

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. „კარგი თემებია“ — გაისმა ჩურჩული... ამრიალდა ფურცლები, აწრიპინდა კალმის წვერები — პირველი გამოცდა მე-10 კლასებში დაიწყო.

მოსწავლეები დაფიქრებით, დინჯად წერდნენ არჩეულ თემას. ნაზიმ პირველი თემა აირჩია, იგივე თემა დაწერეს მისმა ამხანაგებმა ფრიადოსნებმა ცისა გაბუნიამ და ევგენია გაგლოევამ, ვაჟა ბოჭორიშვილმა კი სამშობლოს სიყვარულის იდეა აირჩია ვაჟა-ფშაველას მხატვრული შემოქმედების მიხედვით.

ასე დაიწყო გამოცდები თბილისის მე-12 საშუალო სკოლაში. მალე ამ სკოლის მოსწავლეები სიმწიფის ატესტატით გამოვლენ ცხოვრების ფართო სარბიელზე, სასურველ პროფესიას აირჩევს თვითეული მათგანი... ისინი ხომ სკოლაში სასწავლო პროგრამის შესწავლასთან ერთად ხელობასაც დაეუფლნენ — საწარმოო პრაქტიკას გადიოდნენ კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში, რომელიც მათს სკოლას შეფობას უწევდა; ისინი სოფლის მეურნეობის საფუძვლებსაც ეუფლებოდნენ სასკოლო ნაკვეთზე.

ლ. ხუგულური.

• • •

დიდი სიხარული სუფევდა გუშინ თბილისის ძესამე საძუალო სკოლაში. რუსულ და ქართულ სექტორებზე გამოსაშვები გამოცდები მშობლიურ ენაში დაიწყო წერაში გამოცდებით. მას შემდეგ, რაც სკოლის დირექტორმა მ. ხიხაძემ გახსნა კონვერტი და აცნობა საგამოცდო თემები, სწავლის წარჩინებულნი ა. სიმონიანი, ფ. აკოფოვა, ვ. ბორისოვი (რუსული სექტორი), ლ. გაჩეჩილაძე, ზ. თერზიაკა (ქართული სექტორი) ირჩევენ თემებს. „მაიაკოვსკი — ოქტომბრის მომღერალი“, „ჩემი საყვარელი ნაწარმოები მ. გორკის შემოქმედებიდან“, „გოგოლის ნაწარმოები „მკვდარი სულები“, „ლ. ქიაჩელი — „გვადი ბიგვა“, თემები ა.ა. წერეთლისა და ე. ნინოშვილის ნაწარმოებთა მიხედვით, — აი რაზე წერდნენ გუშინ სიმწიფის ატესტატზე გამოსაცდელი მოსწავლეები.

გამოცდებმა ორგანიზებულად ჩაიარა.

ლ. გოგრაცი.

ქართველ მოჭადრაკეთა გამარჯვება

«კომუნისტის» პრიზი ერთხელ კიდევ მ. ტოგონიძეს!

გუშინ თბილისის რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში მოეწყო ქალთა პირველი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის დახურვისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამო გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის მოადგილემ ზ. კვაჭაძემ. ტურნირის შედეგების შესახებ ილაპარაკა მთავარმა მსაჯმა ა. ფალავანდიშვილმა. შეჯიბრების მონაწილეებსა და მსაჯებს გადაეცათ საქართველოსა და თბილისის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირების, ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის, სასპორტო საზოგადოებების — „სპარტაკის“, „დინამოს“, „ლოკომოტივის“, „ბურევესტნიკის“, „განთიადის“, „კოლმეურნის“, „შრომითი რეზერვების“, აგრეთვე ფიზკულტურისა და ფიზკულტურის საკვლევი ინსტიტუტების სუვენირები.

გაზეთ „კომუნისტის“ პრიზი უველაზე ლამაზი პარტიისათვის მ. ტოგონიძეს გადასცა საერთაშორისო ოსტატმა ვ. გოგლიძემ. გაზეთ „თბილისის“ პრიზი უტოზოლ მოჭადრაკეთა შორის საუკეთესო შედეგისათვის გადაეცა ედიტ კელერ-გერმანს (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

ტურნირის მონაწილეებიდან სიტყვით გამოვიდნენ სსრ კავშირის ჩემპიონი ლარისა ვოლპერტი, ედიტ კელერ გერმანი, რუჟენა სუხა (ჩეხოსლოვაკია), ედიტ ბილეკნე (უნგრეთი), ელიზაბეტ პოლიხრონიადე (რუმინეთი), ი. კაჯაბაძე (თბილისი).

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

პირველ სამ ადგილზე

მეგობრული შარჟები
გ. ფირცხალავასი.

ლ. ვოლპერტი.



ნ. გაფრინდაშვილი.

გუშინ თბილისის რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში მოეწყო ქალთა პირველი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის დახურვისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამო გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის მოადგილემ ზ. კვაჭაძემ. ტურნირის შედეგების შესახებ ილაპარაკა მთავარმა მსაჯმა ა. ფალავანდიშვილმა. შეჯიბრების მონაწილეებსა და მსაჯებს გადაეცათ საქართველოსა და თბილისის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირების, ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის, სასპორტო საზოგადოებების — „სპარტაკის“, „დინამოს“, „ლოკომოტივის“, „ბურევესტნიკის“, „განთიადის“, „კოლმეურნის“, „შრომითი რეზერვების“, აგრეთვე ფიზკულტურისა და ფიზკულტურის საკვლევი ინსტიტუტების სუვენირები.

გაზეთ „კომუნისტის“ პრიზი უველაზე ლამაზი პარტიისათვის მ. ტოგონიძეს გადასცა საერთაშორისო ოსტატმა ვ. გოგლიძემ. გაზეთ „თბილისის“ პრიზი უტოზოლ მოჭადრაკეთა შორის საუკეთესო შედეგისათვის გადაეცა ედიტ კელერ-გერმანს (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

ტურნირის მონაწილეებიდან სიტყვით გამოვიდნენ სსრ კავშირის ჩემპიონი ლარისა ვოლპერტი, ედიტ კელერ გერმანი, რუჟენა სუხა (ჩეხოსლოვაკია), ედიტ ბილეკნე (უნგრეთი), ელიზაბეტ პოლიხრონიადე (რუმინეთი), ი. კაჯაბაძე (თბილისი).

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

უკანასკნელ, მე-11 ტურში, რომელიც 29 მაისს გაიმართა, სუხამ წაგო ვოლპერტთან, გაფრინდაშვილმა მოუგო შტადლერს, კელერ გერმანმა — ბილეკნეს.

ტოგონიძე-კონარკოვსკას, კაჯაბაძე-პოლიხრონიადესა და ზვორიკინა-ჩაიკოვსკაიას პარტიები დაუმთავრებელი დარჩა.

გუშინ გადადებული პარტიების დამთავრებისას გაიმარჯვეს ტოგონიძემ, პოლიხრონიადემ და ზვორიკინამ.

ამრიგად დამთავრდა ქალთა პირველი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის თითო წარმომადგენელი და ექვსი საბჭოთა მოჭადრაკე ქალი. მათ შორის საერთაშორისო ტურნირში პირველად თამაშობდა ოთხი ახალგაზრდა ქართველი მოჭადრაკე ქალი.

პირველი ადგილი შესანიშნავი შედეგით — თერთმეტი შესაძლებლიდან 10 ქულა—დაიკავა საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ლარისა ვოლპერტმა. მისი გამარჯვება ყველაზე დამსახურებულია — თვითეულ პარტიაში ვოლპერტი თამაშობდა სრული ძაძაბვით, გამარჯვებისადმი დიდი მისწრაფებით, თანაბარი სიძლიერით ყველა სტადიაში.

მეორე ადგილი მოიპოვა საქართველოს ჩემპიონმა ნინა გაფრინდაშვილმა, რომელმაც 8.5 ქულა შეაგროვა. მხოლოდ ორი წლის წინათ მიიღო ამ გოგონამ ოსტატის წოდება. ზოგიერთი სპეციალისტი მაშინ ამბობდა, ეს ნაადრევი ხომ არ არისო. ახლა კი ჩვენ ვხედავთ, როგორ წლითიწლობით ძლიერდება ნონას თამაში. მას კარგად ესმის პოზიცია, გაბედულად მიაჭს იერიში, მტკიცედ ესწრაფვის გამარჯვებას თვითეულ პარტიაში. მოგების შანსებს პოულობს თითქოს მარტივ პოზიციებში. ამ ტურნირში მარტო ნონა ებრძოდა ვოლპერტს პირველი ადგილისათვის, დიდხანს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩებოდა მას, და დროის გადაცილების გამო გულსატკენი დამარცხება რომ არ განეცადა ზვორიკინასთან, ვინ იცის რა მოიტანდა გამარჯვებას ტურნირში — მომწიფებული დინჯი თამაში და გამოცდილება თუ ახალგაზრდული შემართება.

სსრ კავშირის მომდინარე წლის ჩემპიონატი ფიდეს ზონალური ტურნირი იქნება — ამ ტურნირის სამი გამარჯვებული ქალი 1961 წელს ითამაშებს მსოფლიოს ჩემპიონთან მატჩის პრეტენდენტთა მორიგ საერთაშორისო ტურნირში. სასურველია მათ რიცხვში ნონა გაფრინდაშვილიც ვიხილოთ.

სასიხარულოა აგრეთვე მეორე ახალგაზრდა ქართველი მოჭადრაკის მანანა ტოგონიძის დიდი წარმატება. მესამე ადგილი 7,5 ქულით, გამოცდილი საერთაშორისო ოსტატების, პრეტენდენტთა ტურნირების პრიზიორების კ. ზვორიკინასა და ე. კელერ-გერმანის წინ — ეს დიდი წარმატებაა. თუ ტურნირის დასაწყისში მანანას მიმართ სამდურავი გვეთქმოდა მეტის-მეტად ფრთხილი თამაშისა და ყაიმებისათვის, შემდეგ მან თამაში გაამწვავა და რამდენიმე ჩინებული პარტია ძოგვცა. მისი პარტია ბილეკნესთან, სადაც მანანამ გამარჯვება მოიპოვა ეტლის ეფექტიანი შეწირვით, ტურნირში ულამაზესი იყო და გაზეთ „კომუნისტის“ სპეციალური პრიზით აღინიშნა.

მეოთხე ადგილი 7 ქულით წარმატებლობა უფროა გამოცდილი საერთაშორისო ოსტატის კელერ-გერმანისათვის. მეხუთე და მეექვსე ადგილები ექვს-ექვსი ქულით გაიყვეს ზვორიკინამ და კონარკოვსკამ. სპორტის დამსახურებული ოსტატი, პრეტენდენტთა შარშანდელ ტურნირში გამარჯვებული ზვორიკინა სრულებითაც არ იყო საუკეთესო სპორტულ ფორმაში. მის თამაშს აკლდა სიმწვავე და გამომგონებლობა. შესაძლოა მან სათანადოდ ვერ შეაფასა მოწინააღმდეგენი და დამარცხება განიცადა ახალგაზრდებთან — ტოროშინისთან, შტადლერსა და კონარკოვსკასთან.

ახალგაზრდა პოლონელი მოჭადრაკისათვის, მისი პირველი საერთაშორისო გამოსვლისათვის მე-5-6 ადგილი დამსახურებული წარმატებაა. გენრიკა კონარკოვსკა გაბედული ნიჭიერი მოჭადრაკეა.

მეშვიდე ადგილზე გამოვიდა ელისო კაჯაბაძე 5,5 ქულით. ამ ძლიერ მოჭადრაკეს, რომელიც წარმატებით თამაშობდა საბჭოთა კავშირის პირველობებში, უთუოდ შეეძლო უკეთესი შედეგისათვის მიეღწია. კაჯაბაძეს წარმატებაში ხელი შეუშალა ცაიტნოტებმა,

რა შეიძლება ითქვას დანარჩენ უცხოელ მოჭადრაკეებზე? კელერ-გერმანის და სუხას გარდა მათ თითქმის არა აქვთ საერთაშორისო ტურნირებში თამაშის გამოცდილება. მარტო ტერეზა შტადლერი იღებდა მონაწილეობას 1957 წელს ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადაში — მსოფლიოს გუნდურ პირველობაში. სწორედ შტადლერი აღმოჩნდა მე-8 ადგილზე, მოაგროვა 4,5 ქულა.

შემდეგ ადგილები ასე განაწილდა: 9. პოლიხრონიადე — 3,5 ქულა, 10. ბილეკნე — 3 ქულა, 11. სუხა — 2,5 ქულა და 12. ჩაიკოვსკაია — 2 ქულა.

გულითადმა მიღებამ და ტურნირის კარგმა ორგანიზაციამ საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა ყველა მონაწილეზე.

მ. რუბაცოვა,
მსოფლიოს ექს-ჩემპიონი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

სსრ კავშირის პირველობაზე

პირველი ქვეჯგუფი

მოსკოვი. 30 მაისი. დღეს გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ფეხბურთში პირველი ქვეჯგუფის გუნდებისათვის. თამაშობდნენ დედაქალაქის „ტორპედოსა“ და ტალინის „კალევის“ გუნდები. გაიმარჯვეს ტორპედოელებმა ანგარიშით 6:0 და გათამაშების ცხრილში კიდევ 2 ქულა ჩაიწერეს. მოსკოვის ტორპედოელები 17 ქულით განაგრძობენ ლიდერობას.

სკოლის მოსწავლეთა ზაფხულის შვებულება

პარიზი, 29 მაისი. (საკვლევი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ანკარიდან იუწყება, განერალი ჯემალ გიურსელი, რომელიც სამოვნეში უდგას თურქეთის მთავრობას, რომელიც შეიქმნა გადატრიალების შემდეგ, უცხოელ კორესპონდენტებთან საუბარში შეეხო თურქეთის უკანასკნელ ამბებს.

ილაპარაკა რა გადატრიალების მიზნებზე, გიურსელმა განაცხადა: „ვფიქრობ, რომ მდგომარეობამ ისეთ სიმწვავეს მიაღწია, როცა მხოლოდ ძალას შეეძლო მისი ხსნა. არმიამ შეიგნო მდგომარეობის სერიოზულობა...“

შეეხო რა თურქეთის ახალი კონსტიტუციის შემუშავებას, პრემიერ-მინისტრმა თქვა: „მე დავნიშნე სპეციალისტთა კომიტეტი, რომელიც შეიმუშავებს კონსტიტუციას. ამ მუშაობას შეიძლება დასჭირდეს თვე ან თვენახევარი. მაგრამ როგორც კი არჩევნები მოეწყობა, ჩვენ მართვას გადავცემთ ხალხს, რომელიც სუვერენული უფლებების ერთადერთი მატარებელია და რომელიც გამოიტანს თავის გადწყვეტილებას არჩევნების მეშვეობით. როგორც კონსტიტუცია შემუშავდება, ჩვენ მას გადავცემთ მოსაწონებლად საბჭოს, რომლებშიც შევლენ სახელმწიფო საბჭოს წევრები, საკასაციო სასამართლოს წევრები, თვალსაჩინო იურისტები, უნივერსიტეტის პროფესორები და მეცნიერები“.

გიურსელმა აღნიშნა, რომ, მისი აზრით, ახალი კონსტიტუციის პროექტი უნდა ითვალისწინებდეს ორპალატიანი პარლამენტისა და უმაღლესი საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნას. „მე მინდა აგრეთვე, — თქვა გენერალმა, — რომ კონსტიტუციაში შეტანილი იყოს მუხლი, რომელიც აკრძალავს რელიგიის გამოყენებას პოლიტიკური მიზნით, რაც, როგორც მე ვიცი, იყო წინანდელი მთავრობის დროს“.



მდგომარეობა თურქეთში

კორესპონდენციაში ნათქვამია, რომ თურქეთის ახალსო-რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა ისმეთ ინენიუმ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მოუწოდებს თავის პარტიის წევრებს დამშორჩილონ ახალი მთავრობის განკარგულებებს.

ლონდონი, 30 მაისი. (საკვლევი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, გუშინ ანკარაში გაიმართა თურქეთის ახალი მთავრობის პირველი სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა პრემიერ-მინისტრი გენერალი ჯემალ გიურსელი.

პარიზი, 30 მაისი. (საკვლევი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ანკარიდან იუწყება, სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ლიდერი ისმეთ ინენიუ გენერალ გიურსელს, თურქეთის ახალი მთავრობის მეთაურს, ამ შეხვედრის დამთავრების შემდეგ თურქეთის არმიის გენერალური შტაბის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გამართული საუბარი ეხებოდა თურქეთში ამასწინათ მომხდარ ამბებს. თურქი ხალხის სახელით ისმეთ ინენიუმ მადლობა გადაუხადა არმიას, რომელმაც „ბოლო მოუღო დესპოტურ რეჟიმს და დემოკრატია აღდგინა თურქეთში“.

გენერალმა გიურსელმა მიიღო აგრეთვე გლეხთა რესპუბლიკური ეროვნული პარტიის თავმჯდომარე ბელუჭ ბაში.

ნიუ-იორკი, 28 მაისი. (საკვლევი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი ანკარიდან იუწყება, სამხედრო სარდლობამ გაათავისუფლა მეკლისის 150 დეპუტატი დემოკრატიული პარტიისაგან, რომლებიც დაპატიმრებული იყვნენ თურქეთის სამხედრო გადატრიალების მომენტიდან. განთავისუფლებულთა შორის არის მენდერესის კაბინეტის ყოფილი მინისტრი სიდკი ირიჯალი.

ანკარა, 28 მაისი. (საკვლევი). დღეს საღამოს ანკარის რადიომ გადასცა თურქეთის ეროვნული ერთიანობის კომიტეტის თავმჯდომარისა და შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის გენერალ ჯემალ გიურსელის კომუნიკე, რომელიც იუწყება თურქეთის ახალი მთავრობის შემადგენლობას. ახალ კაბინეტში შევიდა 18 მინისტრი. პრემიერ-მინისტრი და ეროვნული თავდაცვის მინისტრია გენერალ ჯემალ გიურსელი; შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნულია გენერალი მოჰარენ იჰსან ყინჩილოღლუ, საგარეო საქმეთა მინისტრად — ადმირალი ფაჰრი ქორუთურქი.

სტამბოლი, 28 მაისი. (საკვლევი). მას შემდეგ, რაც არმიამ ხელთ იგდო ძალაუფლება, სტამბოლში მშვიდი ვითარებაა. თუმცა ქალაქის მთავარ პოზიციებსა და ბევრ დაწესებულებას კვლავ უწევენ კონტროლს, მაგრამ სტამბოლის ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგება. დღეს იწყებენ მუშაობას სახელმწიფო დაწესებულებანი. ნებადართულია გაზეთების გამოშვება, რომლებიც მენდერესის მთავრობამ აკრძალა. მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციებში მონაწილეობისათვის დაპატიმრებული პირები გამოუშვეს ბანაკებიდან, ხოლო მათი ადგილი დაიკავეს იმათ, ვისი ბრძანებითაც ისინი იქ ჩასხეს.

სტამბოლის ქუჩები და მოედნები მორთულია ეროვნული ალმებით. გაზეთები გამოვიდა სადღესასწაულო გაფორმებით. ისინი ბეჭდავენ ათათურქის პორტრეტებს, მის განცხადებებს დემოკრატიისა და ახალგაზრდობის შესახებ, აგრეთვე გადატრიალებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მასალას.

ანკარის რადიომ გადასცა ანკარის უნივერსიტეტის რექტორის განცხადება, რომლის თანახმად გამოცდები უნივერსიტეტში დაიწყება 1960 წლის 9 ივნისს.

როგორც ცნობილია, მენდერესის მთავრობამ გამოცდები უმაღლეს სასწავლებლებში გადაიტანა შემოდგომისათვის სტუდენტთა მღელვარებასთან დაკავშირებით.

ნიუ-იორკი, 28 მაისი. (საკვლევი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი ანკარიდან იუწყება, თურქეთის ელჩმა შეერთებულ შტატებში ინახულა სახელმწიფო მდივნის მოადგილე დილონი და გადასცა მას თავისი მთავრობის ნოტა. ოფიციალური წრეები აცხადებენ, ნათქვამია კორესპონდენციაში, რომ ნოტა შეიცავს დაპირებას, რომ თურქეთი შეინარჩუნებს ერთგულებას თავისი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კავშირებისადმი.

ნიუ-იორკი, 29 მაისი. (საკვლევი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი ანკარიდან იუწყება, სამხედრო სარდლობამ გაათავისუფლა მეკლისის 150 დეპუტატი დემოკრატიული პარტიისაგან, რომლებიც დაპატიმრებული იყვნენ თურქეთის სამხედრო გადატრიალების მომენტიდან. განთავისუფლებულთა შორის არის მენდერესის კაბინეტის ყოფილი მინისტრი სიდკი ირიჯალი.

ქართველი კინოდრამატურგი

30 წელია ემსახურება ქართული კინემატოგრაფიის განვითარებას კინოდრამატურგი ვ. დ. კარსანიძე. იგი მთელი ოცი ათ სცენარების ავტორია, ოთხმოცდაათ ძაყურებელს აოწონება დაიძახურეს. დღემდე ხშირად უჩვენებენ კინოკომედიას „დაგვიანებულ სასიძოს“, რომელიც დაწერა ამ კინოდრამატურგ კ. გოგოძის თანაავტორობით. ძან შექმნა სცენარები სრულმეტრაჟიანი ძხატვრული ფილმებისა: „ბედნიერი შეხვედრა“, „ბაში აჩუკი“ რეჟისორ ლ. ესაკიასთან ერთად და სხვა. დიდი დაძახურება მიუძღვის ვ. კარსანიძეს როგორც დოკუმენტური და მულტიპლიკაციური ფილმების სცენარისტს. ძან დაწერა სცენარები: სრულმეტრაჟიანი კინოფილმისა „საბჭოთა საქართველო“ პოეტ გ. ლეონიძესთან ერთად, რომელიც დადგა გამოჩენილმა ქართველმა კინორეჟისორმა ნ. შენგელაიამ, მოკლემეტრაჟიანი ფილმების „აკაკი წერეთელი“, „ხიდგორი“, „სახლი გორში“, „ბორჯომის ხეობა“, „ამბავი სოფელ ნატანებზე“ და სხვების.

ვ. კარსანიძე არის აგრეთვე ისეთი დრამატული ნაწარმოებების ავტორიც, როგორიცაა პიესა „მარადმწვანე ქედები“, რომელიც მიძღვნილია ომისშემდგომი სოფლის ცხოვრებისადმი. იგი ავტორია აგრეთვე პიესისა „ნათელი გზით“, რომელიც რესპუბლიკის ბევრმა თეატრმა დადგა.

ამჟამად მისი სცენარით, რომელიც დაწერა ლ. ესაკიასთან ერთად, კინოსტუდია „ქართული ფილმი“ იღებს ძხატვრულ კინოსურათს „გლახის ნაამბობს“ ილია ჭავჭავაძის მოთხრობის მიხედვით.

ვ. კარსანიძის დიდ დამსახურებაზე ქართული კინემატოგრაფიის განვითარებაში ილაპარაკეს ამ დღეებში საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში, სადაც გაიმართა მისი დაბადების 50 წლისთავისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა მწერალმა ა. ბელიაშვილმა, მოხსენება გააკეთა კინოდრამატურგმა კ. გოგოძემ. (საკვლევი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1960-61 სასწავლო წლისათვის შემდეგი პედაგოგიური ინსტიტუტების დაუსწრებელ განყოფილებებზე:

1. თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში

(ი. ჭავჭავაძის პრასპ. № 32)

ა) პირველ კურსზე: რუსული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ბიბლიოთეკათმცოდნეობის, დაწყებითი განათლების მეთოდიკის (ქართული და რუსული სექტორები);

ბ) მესამე კურსზე (განსაკუთრებული ჯგუფები): ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის, სომხური ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ისტორიის, ბუნებისმეტყველებისა და გეოგრაფიის სპეციალობებზე.

2. ჟოლაისის ალ. ფულეკიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში

(კიროვის ქ. № 55)

ა) პირველ კურსზე: რუსული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, დაწყებითი განათლების მეთოდიკის (ქართული და რუსული სექტორები);

ბ) მესამე კურსზე (განსაკუთრებული ჯგუფები): ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ისტორიისა და ბუნებისმეტყველების სპეციალობებზე.

3. სოხუმის ვ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში

(სტალინის ქ. № 21)

პირველ კურსზე: აფხაზური ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის (ქართული და რუსული სექტორები), დაწყებითი განათლების მეთოდიკის (ქართული, აფხაზური და რუსული სექტორები) სპეციალობებზე.

4. ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში

(ნინოშვილის ქუჩა № 35)

პირველ კურსზე: რუსული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, დაწყებითი განათლების მეთოდიკის სპეციალობებზე.

5. სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში

(მოსკოვის ქუჩა № 8)

პირველ კურსზე: ოსური ენისა და ლიტერატურის, დაწყებითი განათლების მეთოდიკის (ოსური სექტორი) სპეციალობებზე.

I. მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი, რომლებიც მუშაობენ სახალხო მეურნეობის, კულტურისა და განათლების სხვადასხვა დარგში.

დაუსწრებელ განყოფილებაზე ჩარიცხვისას უპირატესობით სარგებლობენ ის პირები, რომელთა მუშაობის ხასიათიც შეეფერება მათ მიერ არჩეულ სპეციალობას.

II. ის პირები, რომლებმაც 1939 წლამდე დაამთავრეს სამასწავლებლო ინსტიტუტები და მუშაობენ მასწავლებლებად, მიიღებიან უგამოცდოდ პირველ კურსზე. 1939 წლის შემდეგ კურსდამთავრებულნი კი ჩაირიცხებიან მესამე კურსზე (განსაკუთრებული ჯგუფი) თბილისისა და ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტებში.

III. მესამე კურსზე (განსაკ. ჯგუფებში) ჩაირიცხებიან ის მასწავლებლები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტების სრული კურსი, მაგრამ არა აქვთ ჩაბარებული სახელმწიფო გამოცდები, აგრეთვე უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტების მე-4-5 კურსებიდან გამოსულნი, თუ ისინი გარიცხულნი არ არიან აკადემიური ჩამორჩენილობის გამო. ეს მასწავლებლები გამოცდას აბარებენ ერთ მაპროფილებელ საგანში პედაგოგიური ინსტიტუტების პროგრამით. ჩარიცხულებს ჩაეთვლებათ პირველ ექვს სემესტრში ჩაბარებული უველა საგანი.

IV. შემსვლელმა 10 ივნისამდე დირექტორის სახელზე უნდა შეიტანოს განცხადება შემდეგი საბუთების დართვით: 1. უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელის დახასიათება, გაცემული საცხოვრებლი ადგილიდან, 2. საშუალო სასწავლებლის დამთავრების დოკუმენტი (დედანი), 3. ავტობიოგრაფია, 4. 4 ფოტოსურათი (3×4 სმ ზომისა), 5. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული წარმოების ხელმძღვანელის მიერ, ხოლო კოლმეურნეთათვის ამონაწერი კოლმეურნის წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის მიერ, 6. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), 7. ცნობა სამუშაო ადგილიდან.

შენიშვნა. 1. სამასწავლებლო ინსტიტუტების კურსდამთავრებულნი წარმოადგენენ დიპლომის დედანს (დანართით).

2. ამ განცხადების მესამე პუნქტში მოხსენებული პირები, გარდა ზემოაღნიშნული დოკუმენტებისა, წარადგენენ ცნობას აკადემიური წარმატების შესახებ.

V. მისაღებ გამოცდებზე დაშვებულნი ბაბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში:

ა) რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე: 1) რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი)*[1], 2) სსრკ ისტორიაში, 3) უცხო ენაში*, 4) ქართულ ენაში (წერა).

ბ) მათემატიკის სპეციალობაზე: 1) მათემატიკაში (წერა, ზეპირი)*, 2) ფიზიკაში*, 3) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

გ) დაწყებითი განათლების მეთოდიკის სპეციალობაზე: 1) სსრკ ისტორიაში*, 2) მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი)*, 3) არითმეტიკაში, 4) რუსულ ენაში (წერა) არარუსულ სექტორებზე შემსვლელნი, ქართულ ენაში (წერა) რუსულ სექტორებზე შემსვლელნი.

დ) ბიბლიოთეკათმცოდნეობის სპეციალობაზე: 1) სსრკ ისტორიაში*, ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი)*.

ე) აფხაზური ენისა და ლიტერატურის, ოსური ენისა და ლიტერატურის სპეციალობებზე: 1) მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი)*, 2) რუსულ ენაში (წერა)*, 3) სსრკ ისტორიაში.

VI. მისაღები გამოცდები 15-დან 23 ივნისამდე. შემსვლელებს დაშვრილებითი ცნობების მიღება შეუძლიათ ინსტიტუტებში.

[1]) ვარსკვლავით აღნიშნულია მაპროფილებელი საგნები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტი

აცხადებს, რომ დაუსწრებელი ეკონომიური ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის სახელმწიფო გამოცდები იწარმოებს ა. წ. 5 ივნისიდან 30 ივნისამდე.

კონსულტაციები და მიმოხილვითი ლექციები 1 ივნისიდან 5 ივნისამდე.

31 მაისი

თეატრები: რუსთაველის სახელობის — ბახტრიონი, მარჯანიშვილის სახელობის — ჩარლის დედა, გრიბოედოვის სახელობის — გაზაფხულის ვიოლინოები, მოზარდ მაყურებელთა ქართული — პეტკა კოსმოსში (აბ. № 40, 4 ს. აბ. № 2, 7 ს.),

ტელევიზია: 19.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე“, 19.25 — კინოჟურნალი, 19.35 — გადაცემა ხანძარსაწინააღმდეგო თემაზე, 19.45 — უკანასკნელი ცნობები, 19.55 — კინოჟურნალი, 20.05 — სატელევიზიო